საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 35 05/07/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ კიცხში მდებარე 1518 კვმ.არასასოფლო - სამეურნეოს დანიშნულების მიწისა და მასზე მდგარი შენობის მეორე სართულზე 233.78 კვმ. ფართის (საზოგადოებრივი ცენტრი) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სოფელ კიცხში მდებარე 1518 კვმ.არასასოფლო - სამეურნეოს დანიშნულების მიწისა (ს/კ36.10.32.451) და მასზე მდგარი შენობის მეორე სართულზე 233.78 კვმ. ფართის (საზოგადოებრივი ცენტრი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის გადაცემის თაობაზე

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

ინგა მაღრაძე

ი. მაღრაძე

საკრებულოს თავმჯდომარე